პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 1942 წ. № 285 (6601). ფასი 15 კაპ.

[stamp] ბიბლიოთეკა

მეთაური ბრძოლის წარმატების ორგანიზატორია

ბატალიონს, რომელსაც კაპიტანი სტეფანე ციბულინი მეთაურობდა, დავალებული ჰქონდა ერთი უბნის დაცვა სტალინგრადში. მის წინააღმდეგ მოქმედებდა გერმანიის 101-ე ქვეითი დივიზიის ორი პოლკი, რომელთაც ტანკების ჯგუფი ეხმარებოდა. დახელოვნებული მეთაური მარჯვედ და გონივრულად იყენებდა თავის ძალებს, მანევრირებას, ეწეოდა ქვეგანაყოფებითაც და ცეცხლითაც და მტრის ყველა იერიში მოიგერია, ამასთან სერიოზული ზარალი მიაყენა მას. ოსტატობისა და მეომრული სიმარჯვისათვის კაპიტანი ღირსი გახდა იმისა, რომ ერთ-ერთი ადგილი დაეჭირა ალექსანდრე ნეველის ორდენის ორ პირველ კავალერთაგან.

თანამედროვე ბრძოლა რთულია. გერმანელები ძლიერი და გამოცდილი მოწინააღმდეგენი არიან. და ბრძოლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარგად იციან ბრძოლა ჩვენმა მეთაურთა კადრებმა, რამდენად მარჯვედ აწყობენ მტერზე დარტყმებს და რამდენად მარჯვედ იგერიებენ მტრის შემოტევას.

ახლანდელი არმიები უხვად არის აღჭურვილი ყოველგვარი იარაღით. მაგრამ ზარბაზნებსა და ტანკებს თავის თავად არასოდეს არ მოუგიათ ბრძოლა, ისევე როგორც არასოდეს არ შეუჩერებიათ შემომტევი მტერი სიმაგრეებს უადამიანებოდ. იარაღს მეომრები ჰმართავენ, მეომრები ხდიან მიუდგომელს ბასტიონებს. მათს ოსტატობაზე, გამბედაობაზე, მედგრობაზე, შეუპოვრობაზეა დამოკიდებული ბრძოლის ბედი.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ომის განმავლობაში წითელი არმიის მეთაურთა კადრებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. ისინი გაეცნენ მტრის იარაღს, შეისწავლეს მისი ტაქტიკა, ხერხები, ფანდები, ბრძოლაში გამოიწრთნენ. მათ ღრმად შეიგნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინასა და წესრიგს, შეეჩვივნენ დროის ფაქტორის დაფასებას, ისწავლეს და კვლავ სწავლობენ თავიანთ ქვეგანაყოფთა და სხვა გვარეობათა ჯარების მოქმედების ურთიერთშეხამებას.

ჩვენი მეთაურთა კადრების სიმწიფის, გამოცდილების დამაჯერებელი საბუთია სტალინგრადის გმირული დაცვა და ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევა ვოლგის ლეგენდარული ციხე-სიმაგრის რაიონში. წითელი არმიის ნაწილებმა, რომელნიც საბჭოთა სარდლობის გეგმებს ანხორციელებდნენ, მოწინააღმდეგის თავდაცვა გაარღვიეს და სერიოზულად დაამარცხეს იგი. გერმანელმა ოკუპანტებმა ახალი დარტყმა იგემეს ცენტრალურ ფრონტზე. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა, მაგრამ ჩვენი სახელოვანი მეომრების დარტყმებით იგი იძულებულია უკუიქცეს. ჩვენი ჯარების შეტევითი მოქმედება გრძელდება. ჩვენი ნაწილები ყოველდღე ახალ-ახალ დასახლებულ პუნქტებს ათავისუფლებენ ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან, მწყობრიდან გამოჰყავთ მტრის ტექნიკა და ცოცხალი ძალა, ხელთ იგდებენ ტყვეებს და დიდ ალაფს.

ომის განმავლობაში წითელი არმიის მეომრებმა მტრისათვის აუცდენლად დარტყმა ისწავლეს. სტალინგრადის რაიონში, ცენტრალურ ფრონტზე ჩვენს ჯარებს წითელი არმიის ბრძოლაში გამოცდილი მეთაურები ხელმძღვანელობენ. საბჭოთა მეომრები მათი მეთაურობით ანადგურებენ მტრის თავდაცვას, სტეხენ მის წინააღმდეგობას და ურტყამენ სწორედ იმ გენერლებს, რომლებსაც ოდესღაც თავი მოჰქონდათ თავიანთი „უძლეველობით“.

მტერი რომ კვლავ ვანადგუროთ და ღირსეულად შევასრულოთ ბელადისა და მხედართმთავრის — დიდი სტალინის მიერ წითელი არმიის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანა, ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი მეთაურთა კადრების ორგანიზატორული როლი, დაუცხრომლად ვაძლიეროთ და ვაუმჯობესოთ ჯარების წინამძღოლობის ხელოვნება.

ათასობით კილომეტრზე გაიჭიმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ხაზი. სხვადასხვანაირი ვითარება შეიქმნა ამ გიგანტური ომის ასპარეზის ცალკეულ უბნებზე. ზოგ ადგილას ჩვენი ჯარები წარმატებით უტევენ, ზოგან კი თავდაცვაზე დგანან. მაგრამ ყველგან იგრძნობა და უნდა იგრძნობოდეს კიდევაც მეთაურის ძლიერი, წარმმართველი, გამარჯვების მომწყობი ხელი. იგი ყველგან უნდა ცდილობდეს მაქსიმალური ზარალი მიაყენოს მოწინააღმდეგეს, გაანადგუროს მისი ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

ჩვენს მიწა-წყალზე არ არის და არც შეიძლება იყოს პასიური თავდაცვა. თავდაცვა ყველგან აქტიური უნდა იყოს. არც ერთი წუთით არ უნდა მოვასვენოთ მტერი, ქანცი უნდა გამოვუღიოთ მას ყოველგვარი საშუალებით, უნდა გამოვიყენოთ სამხედრო ფანდი, გამოვიჩინოთ ინიციატივა, მოვაწყოთ ცეცხლითი თავდასხმები, ჩავუსაფრდეთ, ზურგში ვუგზავნოთ გამანადგურებელი ჯგუფები, მოთხილამურეთა რაზმები, უნდა განვავითაროთ სნაიპერული მოძრაობა,— და, საერთოდ, განა ცოტა რამ ხერხია იმისა, რომ მიწას მივაკრათ მტერი, შევბორკოთ მისი ნებისყოფა, მიწაში ჩავფლათ იგი!

თავდაცვაში, ისევე როგორც შეტევაში, უსაზღვროდ დიდია დაზვერვის როლი. მტრის დარტყმის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იცი მოწინააღმდეგის განზრახვა, მისი ძალა, მოზღვავებული მტრის თავმოყრის ადგილი. საკუთარ დარტყმას უდიდესი ეფექტი მაშინ ექნება, თუ ცნობილია, სადა აქვს მტერს ყველაზე უფრო სუსტი ადგილი და სახელდობრ რა უნდა გაუნადგურო მას. დაზვერვა ნათელ ბაზას ჰქმნის მეთაურის მოქმედებისათვის, მოწინააღმდეგის არცოდნა მას აბრმავებს.

ფრონტის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს უბნებზე ინიციატივა ჩვენს ხელში გადმოვიდა. ამ უბნებზე მტერი უკან იხევს, რამდენადმე დემორალიზებულია, მას დიდი ზარალი მოსდის. აქ მეთაურების წინაშე განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანებია. საქმე ის კი არ არის, რომ მტერი ჩვენი მიწა-წყლიდან მხოლოდ გავრეკოთ. რასაკვირველია დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაიკავო დასახლებული პუნქტი, მაგრამ ერთიათად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაამარცხო მტრის ძალები ამ პუნქტში, შეძლებისდაგვარად მოსპო იგი უკანასკნელ ჯარისკაცამდე.

მოწინააღმდეგის დევნის ორგანიზაცია მეთაურის დიდ დახელოვნებას მოითხოვს. არ უნდა მივცეთ მოწინააღმდეგეს იმის დრო, რომ წესრიგში მოიყვანოს თავისი შებერტყილი ძალები და რეზერვები გადმოიყვანოს, არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ საშუალედო ზღუდეებზე გამაგრდეს, უნდა ვდიოთ მას, როგორც სუვოროვი ამბობდა, დღედაღამ, მანამდე, სანამ განადგურებული არ იქნება.

მოწინააღმდეგე კონტრიერიშზე მიჰმართავს? რა ვუყოთ, ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ, უნდა მოვიგერიოთ კონტრიერიში ისე, რომ რაც შეიძლება მეტი ზარალი მივაყენოთ მტერს, შეუჩერებლივ უნდა გავწიოთ წინ, უნდა განვამტკიცოთ ჩვენი წარმატება. ცეცხლი და მოძრაობა, მოძრაობა და ცეცხლი! და მანევრი სწრაფი, მარჯვე, მოხერხებული მანევრი.

სტალინგრადის რაიონში გერმანელთა ერთმა დივიზიამ სცადა თავი დაეღწია დარტყმისათვის და კონტრიერიში მოიტანა ჩვენს ჯარებზე. საბჭოთა ნაწილებმა რამდენიმე ქვეგანაყოფით შეაკავეს გერმანელთა მოძალება ფრონტიდან, ამავე დროს ორი მხრიდან მოუარეს მათ და მტრის ფლანგებს დაარტყეს. ფაშისტებმა ათასზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და უკან დახევა დაიწყეს, მაგრამ ამ დროს მათ გზა გადაუჭრა ზურგიდან მოსავლელად გაგზავნილმა ჩვენმა ნაწილმა. მარჯვე მანევრის შედეგად გერმანელთა დივიზია სასტიკად იქნა განადგურებული.

უდიდეს მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე ომი მეთაურს. იგი უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა, გულდაჯერებული და გულდამშვიდებული ორგანიზატორი ბრძოლისა, ისე, რომ ბრძოლის დაწყებიდან მის დამთავრებამდე ხელში ეჭიროს ინიციატივა. მას უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ მაქსიმალური სისრულით გამოიყენოს მთელი თავისი ძალები და საშუალებანი, მოწინააღმდეგე კი აიძულოს მარტო ნაწილი გამოიყენოს ძალებისა და საშუალებებისა. მას უნდა ჰქონდეს უნარი გამოიყენოს ადგილმდებარეობა, მოწინააღმდეგე კი არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს. მრავალნაირი საშუალებებიდან, რომლებიც მეთაურის განკარგულებაშია, მან უნდა ამოარჩიოს ის საშუალებანი, რომლებიც საუკეთესო შედეგს მოიტანენ ამა თუ იმ ვითარებაში და ამა თუ იმ დროს. იგი წმიდად უნდა ასრულებდეს სარდლობის ბრძანებას, მაგრამ არ უნდა ეშინოდეს გონივრული ინიციატივის გამოჩენისა ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში.

წითელი არმია შეიარაღებულია საუცხოო ტექნიკით. სამშობლო შეუწყვეტელ ნაკადად ჰგზავნის ფრონტზე თვითმფრინავებს, ტანკებს, ზარბაზნებს, ნაღმსატყორცნებს, ავტომატებს. მეთაურის უპირველესი ამოცანაა: შესძლოს ყველაფერი გამოსწიროს ამ ტექნიკას, გამოიყენოს ეს ტექნიკა, ასწავლოს მებრძოლებს მისი გამოყენება ოსტატობის ყველა წესის მიხედვით. ყველაფერი, რაც კი გამზადებულია ომისათვის, უნდა ისროდეს, უნდა ანადგურებდეს, სპობდეს მტერს.

ჩვენი გამარჯვების ინტერესები გვიკარნახებს ყველა გვარეობის ჯარის უმჭიდროესი თანამოქმედების საჭიროებას. სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე მტრის თავდაცვის წარმატებით გარღვევა განხორციელებული იყო არტილერიის, ტანკებისა და ქვეითი ჯარების სრული თანამოქმედების მეოხებით, მთელი ძალების ერთი ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენების მეოხებით.

საბჭოთა სამშობლომ ბევრი რამ მისცა წითელი არმიის მეთაურს, იგი ხალხის საყვარელია. მაგრამ მას ბევრიც მოეთხოვება. ჩვენი მეთაურები უნდა იყვნენ ნამდვილი ოსტატები ჯარების წინამძღოლობისა, მამაცი და მარჯვე სარდლები, რომლებიც ოსტატურად უნდა სჭედავდნენ მტერზე გამარჯვებას.

„პრავდის“ მოწინავე, 1/XII.

ქრონიკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამხ. ი. ზ. კვანჭახაძე დანიშნულია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ სამხედრო სწავლების დარგში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 დეკემბრის დილის ცნობა

30 ნოემბრის ღამის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ქალაქ სტალინგრადის სამხრეთ ნაწილში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე იერიში, რომლებიც ერთმანეთს მოსდევდა. ამ ბრძოლაში ჰიტლერელებმა მოკლულთა სახით 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ჰიტლერელები განდევნეს 8 ძელმიწური საცეცხლე წერტილიდან და ბლინდაჟიდან. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მოსპობილია მტრის 27 საცეცხლე წერტი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ოპერაციებს ეწეოდნენ. Ნ ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს მტრის გამაგრებული პუნქტი და გასწყვიტეს 250 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებულია მტრის 6 ტანკი და დამწვარია 4 ტანკი. წამოღებულია მტრის 5 ქვემეხი, 7 ნაღმსატყორცნი, 11 ტყვიამფრქვევი და 21 ავტომანქანა. სხვა უბანზე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით გაფანტულია მტრის ტანკები და ქვეითი ჯარი, რომლებიც ცდილობდნენ იერიში მოეტანათ ჩვენს ნაწილებზე.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. მტერი ებღაუჭება დასახლებულ პუნქტებს და ცდილობს შეაჩეროს საბჭოთა ჯარების შეტევა, მაგრამ არტილერიის, ტანკების, ქვეითი ჯარისა და კავალერიის მოძრავი რაზმების დარტყმებით იძულებულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაიხიოს. ღამის განმავლობაში ორი დასახლებული პუნქტის რაიონში ჩვენი ნაწილების მიერ გაწყვეტილია მტრის 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია 16 ქვემეხი, 39 ტყვიამფრქვევი და 43 ავტომანქანა. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა კავალერისტებმა ხელთ იგდეს 50 ავტომანქანა და დიდი ალაფი სამხედრო ქონებიანად.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაძლიეს მტრის წინააღმდეგობა და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებს ყოველი სოფლისათვის, რომელიც გერმანელებს თავდაცვის გამაგრებულ პუნქტად გადაუქცევიათ. ერთ-ერთი მიმართულებით ჩვენმა შენაერთებმა გაანადგურეს მტრის სატანკო და მსროლელთა პოლკების შტაბები. ბრძოლის მსვლელობაში გაწყვეტილია გერმანელთა 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. დასახლებულ პუნქტ კ-სთან გერმანელთა 6 ტანკმა და მეავტომატეთა დიდმა ჯგუფმა კონტრიერიში მოიტანეს უფროს ლეიტენანტ ნაზაროვის ქვეგანაყოფზე. თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გერმანელი მეავტომატეები მოსწყვიტეს ტანკებს. გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 3 დაზიანებული ტანკი და მრავალი გვამი და პირვანდელ პოზიციებზე დაიხიეს.

* * *

ვიტებსკელ პარტიზანთა რაზმმა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციასთან ბრძოლაში 50 ჰიტლერელი დახოცა. ცოცხლად გადარჩენილმა დამსჯელებმა გაქცევით უშველეს თავს. რამდენიმე დღის შემდეგ პარტიზანები თავს დაესხნენ მტრის გარნიზონს დასახლებულ პუნქტში და დახოცეს 100-ზე მეტი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს საწყობი სურსათიანად, რომელიც ჰიტლერელებს მოსახლეობისათვის წაერთმიათ. სურსათი მახლობელი სოფლების კოლმეურნეებს დაუბრუნდათ.

* * *

გერმანელთა 376-ე ქვეითი დივიზიის ტყვე რადისტმა უნტერ-ოფიცერმა ზიგფრიდ შაუფელმა განაცხადა: „რუსების შემოტევა სტალინგრადის რაიონში სრულიად მოულოდნელი იყო. ამაში საკვირველი არაფერია. სამი თვის განმავლობაში ჩვენ ყველანი დღითი-დღე ველოდით სტალინგრადის დაცემას. ნოემბერში მიღებულ იქნა ჰიტლერის ახალი ბრძანება, რომლითაც იგი მოითხოვდა, რადაც უნდა დამჯდარიყო, ხელთ გვეგდო სტალინგრადი და ჯარებისათვის უზრუნველგვეყო საზამთრო ბინები. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამის შემდეგ ხანგრძლივად დაგვასვენებდნენ. როცა მე პირველი რადიოგრამები მივიღე იმის შესახებ, რომ რუსებმა ჩვენი სიმაგრეები გაარღვიესო, შტაბში ეს არავინ არ დაიჯერა. მე მიბრძანეს შევეკითხებოდი წინა კიდის დამცველ ნაწილებს. მაგრამ უკვე გვიან-ღა იყო. ჩვენს ძახილს არავინ ეპასუხებოდა. უფრო გვიან მეზობელი დივიზიებისაგან მივიღეთ რამდენიმე პანიკური რადიოგრამა. ღამით რუსთა მოწინავე რაზმები დაგვეწივნენ, ხელთ იგდეს რადიოსადგური, მე კი ტყვედ წამომიყვანეს“.

1 დეკემბრის საღამოს ცნობა

1 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ქალაქ სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე, სძლევდნენ რა მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

30 ნოემბრის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს მტრის 50 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი.

* * *

30 ნოემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს 20-მდე ტანკი, 300-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და სხვადასხვა ტვირთიანად, დაამუსრეს 2 სარკინიგზო შემადგენლობა, ჩააქრეს 15 საარტილერიო და 5 სანაღმსატყორცნო ბატარეის ცეცხლი, ააფეთქეს საომარი მასალების 3 საწყობი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ცეცხლით ბრძოლას და მტრის რამოდენიმე იერიში მოიგერიეს. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს გერმანელთა ქვეითი ჯარის მცირე ჯგუფთა იერიშები და გარსშემოერტყნენ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ მთელ რიგ ძელმიწურ საცეცხლე წერტილებსა და შენობებს. დღის განმავლობაში მოსპობილია მტრის 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ქალაქის სამხრეთ განაპირა უბანში საარტილერიო და სანაღმსატყორცნო სროლა სწარმოებდა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ მდინარე დონის მარცხენა ნაპირზე. მტერი წინააღმდეგობას გვიწევს, ცდილობს რა შეაკავოს საბჭოთა ნაწილების წინსვლა. ჩვენი მებრძოლები ამსხვრევენ მტრის თავდაცვას და წინ მიიწევენ. Ნ ნაწილის მებრძოლებმა ერთი გამაგრებული პუნქტის მისადგომებზე ხელთ იგდეს გერმანელთა 40 დაზიანებული ტანკი, რომელთაც ჰიტლერელები საცეცხლე წერტილებად იყენებდნენ. ბრძოლაში მოსპობილია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგე ცდილობს სატრანსპორტო თვითმფრინავებით მიაწოდოს თავის დაჯგუფებებს სტალინგრადთან საომარი მასალები და სურსათი. ჩვენმა მფრინავებმა ჰაერში ჩამოაგდეს გერმანელთა 20 თვითმფრინავი „იუნკერს-52“ და აეროდრომებზე მოსპეს 30. ამრიგად, სულ დღის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში მოსპობილია მტრის 50 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ამაგრებდნენ დაკავებულ პოზიციებს და ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ წინსვლას. Ნ შენაერთმა მოსპო 700 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 8 ტანკი, 3 ჯავშანმანქანა, 74 ავტომანქანა, 7 ქვემეხი, დაანგრია მტრის 76 ბლინდაჟი და ძელმიწური საცეცხლე წერტი. დიდი წარმატება მოიპოვეს 6 ნაწილის ტანკისტებმა. მტერთან ბრძოლაში მათ მოსპეს 11 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, 10 ჯავშანმანქანა და გაანადგურეს გერმანელთა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს განაგრძობდნენ. რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში მებრძოლებმა ამხ. ანდრიუშჩენკოს და თუგუშინის მეთაურობით დაძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ამ ბრძოლაში გერმანელებმა 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. ხელთ ვიგდეთ 3 ტანკი, 39 ქვემეხი, 30 ავტომანქანა, 3 რადიოსადგური, 5 საწყობი საომარი მასალიანად, 2 სანივთე საწყობი და 2 სასურსათო საწყობი, 47.000 ვაზნა და სხვა სამხედრო ქონება. ველიკიე ლუკის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში Ნ ნაწილის მებრძოლებმა, რომელსაც ამხ. მიხაილოვი მეთაურობს, მოსპეს 1.700 ჰიტლერელი და დაზიანეს გერმანელთა 9 ტანკი და ჯავშანმანქანა.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა სამი დღის განმავლობაში მტრის 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაწყვიტეს. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია 20 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 14 ბლინდაჟი და მიწური, მოსპობილია მტრის 6 დაზგის ტყვიამფრქვევი, 2 ქვემეხი, 1 ნაღმსატყორცნი და 10 ავტომანქანა საომარი მასალიანად და სურსათიანად.

* * *

ვიტებსკელ პარტიზანთა რაზმმა 2 თვის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში გაანადგურა ფაშისტთა 7 სათემო გამგეობა, დასწვა 9 ხიდი გზატკეცილებზე და გაწყვიტა 340 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გარდა ამისა, ამ რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მტრის სარკინიგზო ეშელონი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე იპოვეს ჰიტლერელების მიერ ნაწამებ წითელარმიელთა ოთხი გვამი. გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა, ტყვედ რომ ჩაიგდეს საბჭოთა მებრძოლები, საშინლად დასცინეს მათ და მხეცურად აწამეს ისინი. ბანდიტებმა გაატიტვლეს ტყვეები. ერთ მებრძოლს ჯალათებმა დანით ორი ჭრილობა მიაყენეს და ხელები დაუსერეს. ორ მებრძოლს ფაშისტმა მტარვალებმა ყელი გამოსჭრეს და სასქესო ორგანოები დაალეწეს. მეოთხე წითელარმიელს მთლად გატეხილი აქვს თავი. მოკლულ მებრძოლთა გვამები ფაშისტებმა დასახლებული პუნქტის განაპირა უბანში დაჰყარეს.

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით

მოქმედი არმია, 1 დეკემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). საბჭოთა მებრძოლები წინ მიიწევენ და გზადაგზა ჟლეტენ მტრის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მათ. ცდილობს რა შეაფერხოს ჩვენი ნაწილების შეტევა, მტერი მრავალნაირ ფანდებს მიმართავს. ჩვენი ქვეგანაყოფები მტრის მანევრებს კონტრმანევრით უპასუხებენ. ერთმა ქვეგანაყოფმა სწრაფი იერიშით გარეკა გერმანელები მათ მიერ დაკავებული ზღუდიდან და ხელთ იგდო მაღლობი, რომელიც იმ ადგილებს დაჰყურებს. უკან დახეული და დაზარალებული გერმანელები მაინც განაგრძობენ ცდას დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები. საღამოს გერმანელ მეავტომატეთა ასეულმა იერიში მოიტანა ბატალიონის მარჯვენა ფლანგზე. ჰიტლერელებს უნდოდათ გარს შემორტყმოდნენ მაღლობს.

მტრის ეს განზრახვა თავის დროზე გამოიცნეს. ქვეგანაყოფის მეთაურის მოადგილემ კაპიტანმა კუზმენკომ გადასწყვიტა ფლანგებიდან მიეტანა იერიში შემოჭრილ ფაშისტ მეავტომატეებზე. ერთი ასეული მან წინ წასწია. ამ ასეულის მებრძოლებს ჰიტლერელთა მარჯვენა ფლანგისათვის უნდა დაერტყათ. მეორე ასეული მტრის ასეულის მარცხენა ფლანგზე დასარტყმელად მოემზადა. კუზმენკოს მიერ დასახული ამოცანა წარმატებით იქნა განხორციელებული. პირველი ასეული შეუმჩნევლად მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს და ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი სროლა [illegible] დროს იერიშზე [illegible], რომელსაც ლეიტენანტი [illegible] რობდა, როცა გერმანელებმა დაინახეს, რომ შესაძლო იყო თვითონ მოქცეულიყვნენ გარემოცვაში, მათ ტანკების საშველად ტანკების გამოპარება იწყეს. კუზმენკომ ნაღმსატყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო იარაღი აამოქმედა. ფაშისტები უკუქცეულ იქნენ.

მაგრამ მტერმა მალე მეორე კონტრიერიში მოიტანა. ამჯერად ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს ჩვენი ბატალიონის მარცხენა ფლანგისათვის დაერტყათ. კაპიტანმა კუზმენკომ საცეცხლე საშუალებათა განლაგება შესცვალა, თავდაცვის ცენტრში მოუყარა თავი დაზგის ტყვიამფრქვევებს და ჰიტლერელების მარჯვენა ფლანგის შემოსავლელად გაგზავნა მეავტომატეთა ოცეული. მებრძოლები განუწყვეტლივ ამუქმებდნენ ადგილმდებარეობას რაკეტებით. მტერი კარგად სჩანდა და ჩვენები ჯვარედინად უშენდნენ მას ტყვიამფრქვევსა და ავტომატებს. გერმანელთა მეორე იერიშიც ისეთივე წარმატებით იქნა მოგერიებული, როგორც პირველი. ბატალიონი მტკიცედ გამაგრდა ფაშისტებისათვის წართმეულ მაღლობზე.

ჩვენი ნაწილები მტრის წინააღმდეგობას სძლევენ და წინ მიიწევენ.

ნ. მარკოვსკი

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

მოქმედი არმია, 1 დეკემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით საბჭოთა ნაწილები შეტევითს მოქმედებას განაგრძობენ. საბჭოთა მებრძოლები ბრძოლით მიიწევენ წინ მტრის თავდაცვის სიღრმეში.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი აქვს ბრძოლებს ფრონტის ერთ-ერთ უბანზე. დაჰკარგეს რა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, ფაშისტები ცდილობენ გამაგრდნენ ყოველ სოფელში, ხეობაში.

გუშინ ერთი სოფლის ახლოს ჰიტლერელებმა სამჯერ მოიტანეს კონტრიერიში. ყველა ეს კონტრიერიში მოგერიებულ იქნა. მებრძოლთა ჯგუფი უმცროს ლეიტენანტ ქიტოდოროვის მეთაურობით გარს შემოერტყა მტრის დაზიანებულ ტანკს, რომელიც ფაშისტებს ხანგრძლივ საცეცხლე წერტად გადაექციათ, გამორეკა იქ ჩასაფრებული მეავტომატეები და მტრის სანგრებში შეიჭრა.

მოიერიშე ჯგუფის მებრძოლები, რომელნიც ცოტა მარჯვნივ იყვნენ, პლასტუნურად მიუახლოვდნენ მტრის ბლინდაჟს და გრანატები დაუყარეს მას. ჰიტლერელთა 2 ოცეული მიესია წითელარმიელებს. მტრის ოცეული გაფანტულ იქნენ ერთსულოვანი ცეცხლით.

მალე ბრძოლაში გამოვიდნენ საბჭოთა ტანკები. კაპიტან ოპანასენკოს ეკიპაჟმა გაარღვია მტრის თავდაცვის ხაზი და თავს დაესხა მოწინააღმდეგის ხანგრძლივ საცეცხლე წერტებსა და ძელმიწურებს. ფაშისტებმა მოახერხეს ცეცხლი წაეკიდებინათ ჩვენი მანქანისათვის. კაპიტან ოპანასენკოს ბრძოლა არ შეუწყვეტია და ხედიხედ აჭრიდა ყუმბარებს ფაშისტთა სიმაგრეებს. ბრძოლის დროს გერმანელებმა დაზიანეს აგრეთვე მეთაურ ვლადიმიროვის მანქანა. ნაშუადღევამდე ტანკები იგერიებდნენ მტრის შემოტევას. ამ დღეს ტანკის ეკიპაჟმა მოსპო 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 6 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი და 150-მდე გერმანელი.

ამ ბრძოლაში სროლის განსაკუთრებული სიმარჯვე დაგვანახვეს 6 ნაწილის არტილერისტებმა. ქვემეხის ცეცხლის საფარქვეშ ქვეითებმა დაიკავეს გამაგრებული პუნქტი და ხელთ იგდეს 2 ვარგისი ტანკი, 3 ტანკეტი და 5 ზარბაზანი, რაც მიატოვეს გერმანელებმა, რომელნიც გადაურჩნენ ჩვენი არტილერიის მიერ გაჩაღებულ გამანადგურებელ ცეცხლს.

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით დასახლებული პუნქტები იშვიათად გვხვდება. საზამთროდ მოწყობილი ბლინდაჟებიდან ამოყრილი გერმანელები მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან. და რატომ არ ემალებიან თავიანთ შეჩვეულ ზღუდეებს. მაგრამ წითელარმიელები და მეთაურები ერეკებიან მტრის ბლინდაჟებიდან და გლეხთა სახლებიდან.

გ. მაქსიმოვი

ცენტრალურ ფრონტზე

მოქმედი არმია, 1 დეკემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). რჟევის დასავლეთით საბჭოთა ნაწილები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ. განსაკუთრებით გაფთრებული ბრძოლებია მტრის დასაყრდენი პუნქტებისათვის.

ჩვენმა ნაწილებმა უეცარი დარტყმით სასტიკად დაამარცხეს გერმანელ ეგერთა ბატალიონი, რომელიც ერთ-ერთ სოფელს იცავდა. ბრძოლის ველზე დარჩა 500-მდე გერმანელი ჯარისკაცის და ოფიცრის გვამი.

დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლებში საბჭოთა ნაწილები ჰფანტავენ და ჟლეტენ ფაშისტთა გარნიზონებს, რომლებიც წინააღმდეგობას გვიწევენ. ძლიერდება წითელარმიელთა და მეთაურთა საბრძოლო სულისკვეთება. ბატალიონი, რომელსაც კაპიტანი ფილომონოვი მეთაურობს, უზიდ დაუღალავად მნიშვნელოვან გზას, რომელსაც მოწინააღმდეგე იცავს. მებრძოლნი ჯგუფებად დაიყვნენ და მოწინააღმდეგის ძლიერ ცეცხლქვეშ მიუახლოვდნენ მტრის პოზიციებს. ჩვენმა მეომრებმა პირველად მტრის საცეცხლე წერტებს დაარტყეს. ქვეითებს ოსტატურად ეხმარებოდნენ არტილერისტები. მებრძოლნი შეიჭრნენ მტრის თავდაცვაში, დახოცეს მრავალი ფაშისტი და ხელთ იგდეს 10 ქვემეხი და 1 საწყობი საომარი მასალიანად. ბატალიონი წარმატებით მიიწევს წინ.

გაჩაღებული ბრძოლის დროს უფროსი სერჟანტი სკოროსპელოვი სათავეში ჩაუდგა მოწინააღმდეგეზე იერიშის მიმტან წითელარმიელთა ჯგუფს, გერმანელთა ძელმიწურ საცეცხლე წერტში შეიჭრა, ხელჩართული ბრძოლაში ხიშტით განგმირა რამდენიმე გერმანელი და ხელთ იგდო ვარგისი ტყვიამფრქვევი საომარი მასალიანად. ზარალის მიუხედავად, ჰიტლერელები განაგრძობდნენ წინააღმდეგობას და აფერხებდნენ ჩვენი ჯარის წინსვლას. სკოროსპელოვმა ნადავლი ტყვიამფრქვევის ჯამიზნებით სროლა ასტეხა და დაეხმარა ქვეითებს უკუეგდოთ მოწინააღმდეგე.

ჩვენი ჯარების შეტევითი ბრძოლები სულ სხვადასხვა ფორმას იღებს. ერთ ადგილას ხორციელდება ქვეითების, არტილერისტებისა და ტანკისტების კომბინირებული დარტყმები. სხვა ადგილას მებრძოლნი ფაშისტთა ქვეგანაყოფებს თავს ახვევენ ხელჩართულ შეტაკებებს. ხშირად წითელარმიელები მტერზე იერიში მიაქვთ ფლანგებიდან და ზურგიდან და საგრძნობ დარტყმებს აგემებენ მათ. Ნ საარტილერიო ნაწილი თავისი მარჯვე ზალპებით გზას უკაფავს ქვეითს ჯარს. ერთი დღის განმავლობაში არტილერისტებმა გაჟლიტეს 250 ფაშისტი, დაანგრიეს 6 ძელმიწური საცეცხლე წერტი, დაამსხვრიეს ტყვიამფრქვევი და ჩააჩქმეს ოთხი საქვემეხო და სამი სანაღმსატყორცნო ბატარეის ცეცხლი. ცეცხლის დაშენის მაღალი ტემპი და სიზუსტე გვიჩვენა გვარდიის სერჟანტ ლისინის ქვემეხის გუნდმა, რომელმაც ერთ ბრძოლაში მოსპო მრავალი გერმანელი და ქვემეხების 1 ბატარეა.

გვარდიელ არტილერისტებს კარგად აქვთ დაუფლებული ზაზვერვა. ისინი აღედნენ ურტყამენ. არტილერისტებს ლიხაჩევსა და სვიბლეს ბრძანება ჰქონდათ გაეგოთ, თუ სად იყო განლაგებული გერმანელთა სანაღმსატყორცნო ბატარეა, რომელიც ძლიერ უშლიდა ხელს ჩვენი ქვეითი ჯარის წინსვლას. მტრის განუწყვეტელი სროლის მიუხედავად, გვარდიელები ხოხვით ზედ მიადგნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე პოზიციებს, ბატარეის ადგილმდებარეობა გამოარკვიეს და ზუსტი კოორდინატები გადასცეს თავიანთ მეთაურს. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა ჩვენი ქვემეხების ზალპები, და სანაღმსატყორცნო ბატარეა ფაშისტ ნაღმსატყორცნელებთან ერთად აფეთქებულ იქნა.

ბრძოლების მსვლელობაში მტერს დიდი ზარალი მოსდის. ჩვენი ნაწილები სძლევენ ჰიტლერელთა წინააღმდეგობას და წინ მიიწევენ.

მ. კორიავიჩევი

გერმანელებს რუსეთის ყინვები აშინებს

მოქმედი არმია, 1 დეკემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის რაიონში ნამდვილი ყინვები ჯერ კიდევ არა ყოფილა. მაგრამ მოსულმა თოვლმა და ამ ადგილისათვის ჩვეულებრივმა ცივმა ქარებმა უკვე სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ბევრი გერმანელი ჯარისკაცი, განსაკუთრებით ისინი, ვინც შარშანდელი ზამთრის კამპანია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაატარა.

გერმანიის მე-3 მოტორიზებული დივიზიის მე-8 პოლკის შტაბის ასეულის ტყვე ჯარისკაცი იოზეფ იურანეკი ამბობს: „ჩვენი შტაბის ასეულიდან 80-მდე კაცმა გაატარა წარსული ზამთარი რუსეთში. მათ ყველას მოყინა ხელფეხი და პირისახე. ისინი ამბობენ, რომ მეორე ზამთარს ვეღარ გაუძლებენ“.

ჯარისკაცები სულ უფრო და უფრო ხშირად და ხმამაღლა გამოსთქვამენ უკმაყოფილებას ომის გამო. იმავე პოლკის უნტეროფიცერი ფრიც შრედერი ამბობს: „ხშირად გამიგონია ჯარისკაცების აშკარა დრტვინვა იმის გამო, რომ ომი გაჭიანურდა. ომმა ყველას თავი მოაბეზრა, ყველას შინ წასვლა უნდა, ყველას ეშინია რუსეთის მეორე ზამთრისა და მისი ყინვებისა“.

გერმანიის მე-60 მოტოდივიზიის 92-ე პოლკის მე-3 ასეულის 1-ლი ოცეულის ეფრეიტორი ლუდვიგ როსლერი, ფაშისტური პარტიის წევრი, როგორც კი აცივდა, საჩქაროდ ჩაუვარდა ტყვედ. „თუ ისეთივე ზამთარი იქნა, როგორიც შარშან იყო, ყველანი გავიყინებით, ეს კი სამიში რამ არის“,—განაცხადა მან.

ამას შეიძლება ის დავუმატოთ, რომ გერმანიის სარდლობამ არც წელს მოამარაგა თავისი არმია თბილი ფეხსაცმლით. კვლავ გაჩნდა ერზაც-ბოტები გუშაგებისათვის, რომლებსაც ფეხსაცმელზე იცვამენ და რომლებიც ფეხის გადადგმის საშუალებას არ იძლევა.

უფროს სერჟანტ კილურაძის გმირობა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „კრასნაია ზვეზდის“ 29 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ჩრდილო-დასავლეთი ფრონტიდან მიღებული კორესპონდენცია, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა დევგმირის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხ. კილურაძის უკვდავ საგმირო საქმეზე. კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

„სამი ჩვენი მზვერავი უხმაუროდ მიცოცდა გერმანელთა ძელმიწურ საცეცხლე წერტთან. ამბრაზურში მათ თითო გრანატი შეაგდეს. აფეთქების ხმა რომ გაისმა, უფროსი სერჟანტი კილურაძე წელში მოხრილი შევარდა თხრილში. მისკენ გერმანელი ჯარისკაცი მორბოდა. კილურაძემ, წარსულში მოყვარულმა მოკრივემ, გერმანელს მუშტი შემოჰკრა თავში და ძირს დასცა. მოენე რომ შეიპყრო, უფროსმა სერჟანტმა გადასცა იგი იხრილს ზემოთ მდგომ წითელარმიელებს და უბრძანა წასულიყვნენ. მაგრამ გერმანელებმა შეამჩნიეს, რომ ჩვენს მებრძოლებს ტყვე მიჰყავდათ, და მათ ყველა სახის იარაღის ცეცხლი დაუშინეს. ნაღმის ნამსხვრევი თავში მოხვდა კილურაძეს. უფროსმა სერჟანტმა ავტომატი გულზე მიიხუტა, ნელნელა ჩაიკეცა და გრძნობა დაჰკარგა. უკვე აღარ ეგრძნო, როგორ მოხვდა ნაღმების ახალი ნამსხვრევები.

გერმანელებმა მოჰკლეს ტყვედ ჩავარდნილი თავიანთი ჯარისკაცი, ორი დაჭრილი მებრძოლი კი, რომლებიც კილურაძეს ახლდნენ, ხოხვით წავიდნენ თავისიანებთან. მაშინ ორი გერმანელი მივიდა მწოლარე კილურაძესთან. ამ დროს უფროსმა სერჟანტმა თვალი გაახილა და, სისხლისაგან დაცლილმა, იმდენი ძალა მოიკრიბა, რომ ასწია ავტომატი და ორჯერ გაისროლა. ორივე ფაშისტი მკვდარი დაეცა მის მახლობლად. მაშინ კილურაძემ გერმანელ ჯარისკაცთა მთელი ათეული მიისია. რვა მათგანი გმირმა ავტომატის ჯერით გაჟლიტა, მაგრამ ვაზნები გამოელია, ორი გერმანელი კი უკვე ახლოს იყო. კილურაძემ სძლია ტკივილს, წამოდგა, დასუსტებული ხელებით აიღო ავტომატი და ერთ-ერთ ფაშისტს თავში დასცხო. ავტომატი დაემსხვრა, მაგრამ გერმანელს თავი ორად გაუპო. დარჩა კიდევ ერთი ფაშისტი. იგი სროლას აპირებდა, მაგრამ კილურაძემ დაასწრო, იძრო დანა და მკერდში ჩასცა ფაშისტს. კილურაძემ მიიხედ-მოიხედა, დაინახა, რომ გარშემო მხოლოდ მტრის გვამები ეყარა, მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და ხოხვით გასწია თავისი სანგრებისაკენ. თავისიანებთან რომ დაბრუნდა, სხეულზე შვიდი ჭრილობა აღმოაჩნდა.

სახელოვანი საბჭოთა დევგმირი ასე გამოვიდა გამარჯვებული გაფთრებულ უთანასწორო ბრძოლაში“.

ვ. ყარა-მურზა.

სსრ კავშირში ჩამოვიდნენ მებრძოლი საფრანგეთის მფრინავები

სსრ კავშირში ჩამოვიდა ჯგუფი მებრძოლი საფრანგეთის მფრინავებისა, რომლებიც სურვილი განაცხადეს საბჭოთა მფრინავების მხარდამხარ იბრძოლონ საერთო სძულველი მტრის—იტალიელ-გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. ჯგუფის შემადგენლობაში არის 20-მდე ოფიცერი და 40 უმცროსი მეთაური და რიგითი მებრძოლი. ჯგუფის წევრთა შორის არიან მთელი რიგი გამოჩენილი ფრანგი მფრინავები, რომელთაც უკვე გამოიჩინეს თავი გერმანელ ფაშისტთა ძალების წინააღმდეგ ომში. ერთ-ერთმა მფრინავთაგანმა კაპიტანმა, ლიტარინგის მკვიდრმა, რომელიც ცნობილია თავისი მაღალი პილოტაჟის ოსტატობით, ჩამოაგდო მტრის 6 თვითმფრინავი და დაზიანა 5 თვითმფრინავი. ჯგუფის ბევრმა სხვა მონაწილემ გულადობისა და გმირობის მაღალი ნიმუშები გვიჩვენა იტალია-გერმანიის ავიაციასთან შეტაკებებში.

საომარი მასალების მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

საომარ მასალათა დამზადების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

შრომის წითელი დროშის ორდენით:

1. იმხანოვი სერგი მარტინის-ძე — საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.
2. ამირანაშვილი დავით დიმიტრის-ძე — თბილისის სტალინის სახელობის ქარხნის ზეინკალი.
3. მექოშვილი ელიოზ გიორგის-ძე — თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის ზეინკალი.
4. სარიშვილი ბენიამინ ევსევის-ძე — დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატის თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის დირექტორი.
5. ხოდაკი ივანე ივანეს-ძე — № ქარხნის საამქროს უფროსი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. გოცირიძე სპარტაკ ვალენტინის-ძე — მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის კოლომნის ქარხნის დირექტორი.
2. ბაღდასაროვი ვაგან ნურიჯანის-ძე — № ქარხნის ოსტატი.

ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა ანტიფაშისტური მიტინგი

29 ნოემბერს მოსკოვში შესდგა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა ანტიფაშისტური მიტინგი.

მიტინგზე შეიკრიბა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა 2.000-ზე მეტი წარმომადგენელი. დამსწრენი მქუხარე ოვაციით ხვდებიან წინადებას არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმში ამხანაგი სტალინი, ამხ. მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი.

მიტინგი გახსნა მწერალმა აკადემიკოსმა ა. ნ. ტოლსტოიმ.

— თითქოს, წინანდელი ომების მაგალითისამებრ, ზარბაზნების გრიალს უნდა ჩაეხშო პოეტის ხმა, ხელოვნებას ომის დროს უნდა დაემდაბლებინა თავისი თვისება, გაუბრალოებულიყო ან და სულაც გაჩუმებულიყო. არა! მუშაობა საბჭოთა ხალხი სულ უფრო და უფრო მეტ მორალურ ძალებს პოულობს სისხლისმღვრელსა და შეუპოვარ ბრძოლაში გამოქვაბულთა ადამიანებს, არმიის წინააღმდეგ, რომლებიც ორგანიზებული არიან ფაშიზმის მიერ, სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს თავისი ხელოვნებისაგან დიდ სიტყვას დიდ სიმართლეზე, დიდ სიკეთეზე. საბჭოთა ხელოვნება ომის დღეებში ხალხის გმირული სულის ხმად იქცევა. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ მოსკოვში, რათა მთელ მსოფლიოს, ყველა ჩვენს მეგობარს მოვუთხროთ ჩვენს საქმეებსა, ფიქრებსა და გრძნობებზე, ჩვენს ურყევ ნებისყოფაზე—ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. საბჭოთა ხელოვნებამ იცის მგზნებარე სიყვარული და იცის მწველი და ქმედი სიძულვილი. მტრისადმი სიძულვილში ჩვენმა ხელოვნებამ ჰპოვა დიდი მორალური შთაგონებითი თემა და ამიტომ არის, რომ იგი ბრწყინავს, ვით მტრის თავზე აღმართული ხმალი.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს: რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა დ. დ. შოსტაკოვიჩმა, არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ა. ვესნინმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ვ. ბარსოვამ, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ი. მ. გრაბარმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ბ. ხრაპჩენკომ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. მ. მოსკვინმა, უკრაინელმა მწერალმა მიკოლა ბაჟანმა, რსფსრ სახალხო არტისტმა ნ. კ. ჩერკასოვმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ლ. ვ. ალექსანდროვსკაიამ, აზერბაიჯანელმა მწერალმა სამედ ვურგუნმა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კინო-რეჟისორმა ი. ა. პირიევმა, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. პ. დოვჟენკომ, რსფსრ სახალხო არტისტმა ი. ი. სუდაკოვმა. (საქდესი).

შეტევა გრძელდება

(„პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტისაგან)

ცენტრალური ფრონტი, 30 ნოემბერი (ტელეგრაფით). ცენტრალურ ფრონტზე ნაწილების შეტევა გრძელდება. იგი სწარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ გზებზე ქარბუქი მძვინვარებს. ჩვენი ნაწილები, რომლებმაც რამდენიმე მიმართულებით გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ხაზი და სოლივით შეიჭრნენ მის სიღრმეში, თავიანთი წარმატების განვითარებას განაგრძობენ, ავიწროებენ მტერს, რომელიც სასტიკ წინააღმდეგობას ეწევა და იღრინება, უკუაგდებენ მას ახალი ზღუდეებიდან და სიმაგრეებიდან, რომლებსაც იგი საჩქაროდ აგებს, ერეკებიან გამაგრებული სოფლებიდან.

გერმანელები მთელ ძალ-ღონეს ძაბავენ იმისათვის, რომ ახალ ზღუდეებს მოებღაუჭონ და იქ მოიკიდონ ფეხი. ფაშისტთა ბანაკიდან გერმანელთა პოლკებსა და დივიზიებს აძლევენ ბრძანებას უკან არ დაიხიონ და რადაც უნდა დაუჯდეთ დაიცვან პოზიციები. ქვეითი ნაწილების ზურგს უკან მდგომი ფაშისტური გადამღობი რაზმები ტყვიამფრქვევს უშენენ თავისიანებს, როგორც კი ეს ნაწილები უკან დახევას შეეცდებიან. მაგრამ ჩვენი ნაწილების მიძალების გამო გერმანელები იძულებული ხდებიან უკან დაიხიონ ყველა მიმართულებით; ისინი თოვლში სტოვებენ ტრანსპორტს, მსუბუქ და მძიმე ქვემეხებს.

გერმანელები ერთ წელიწადზე მეტ ხანს ისხდნენ ამ მხარეებში. ამ ხნის განმავლობაში ფრონტის გაყოლებაზე მათ შექმნეს მძლავრი გამაგრებული ხაზი, რომელიც აგებულია საფორტიფიკაციო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. გათვალისწინებული ჰქონდათ რა ჩვენ მხრივ გარღვევის შესაძლებლობა, გერმანელები დიდ სიღრმეზე აგებდნენ თავდაცვას, პირველ ხაზს უკან აწყობდნენ სათადარიგო გამაგრებულ დასაყრდენ პუნქტებს. აი სწორედ ამ გამაგრებული პუნქტების ხელში ჩასაგდებად, რომლებიც 20-25 კილომეტრით და მეტი მანძილით არის დაშორებული ფრონტის ცოტა ხნის წინანდელ ხაზს, სწარმოებს ახლა სასტიკი ბრძოლა.

ერთ-ერთ მიმართულებაზე მდებარე სოფელი ნ., გერმანელთა მიერ მთლიანად გადაბუგული, გერმანელთა ბლინდაჟების მთელ წყებას წარმოადგენდა. იგი ათჯერ გადავიდა ხელიდან ხელში და ორი დღის ბრძოლის შედეგად ჩვენ დაგვრჩა. მეორე სოფელი, რომელიც გამაგრებული კვანძის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა, ხუთჯერ გადავიდა ხელიდან ხელში.

ჩვენი ნაწილები მტრის წინააღმდეგობას სტეხენ და წინსვლას განაგრძობენ. ამ ბრძოლებში გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით. სოფელ პ-ში, რომელიც გუშინ წავართვით გერმანელებს, მებრძოლებმა გერმანელთა 143 გვამი დათვალეს. ორი საჭაპანო გზის ჯვარედინზე, სადაც ფაშისტები განსაკუთრებით სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, აღმოჩენილ იქნა 200-მდე გვამი, მათ შორის 11 ოფიცრისა.

ჩვენი ნაწილები წინ მიიწევენ; მათ ხელში უვარდებათ მდიდარი დავლა. ერთი სოფლის მიდამოებში ფარდულებს იქით, ნ ნაწილმა ხელთ იგდო სავსებით ვარგის ქვემეხთა მთელი ბატარეა, და ამ ქვემეხებით მაშინვე აუტეხა სროლა უკანდახეულ გერმანელებს. სხვა ნაწილმა სწრაფი მარშით გაიარა, გაანადგურა გერმანელთა სატანკო პოლკის შტაბი და ხელთ იგდო მთელი დოკუმენტები და შტაბის ქონება.

ბ. პოლევოი

(„პრავდა“, 1 დეკემბერი).

რჟევის დასავლეთით

ცენტრალური ფრონტი, 1 დეკემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). როცა რვა საათს სწორედ ხუთი წუთი აკლდა, გიგანტური ძალის ზალპების ხმა გაისმა.

მალე შორს თოვლზე ამოძრავდნენ ფიგურები, რომლებიც აქეთ-იქით აწყდებოდნენ. გერმანელებს აქ სიმაგრეთა ორი ხაზი აუგიათ. მათ პირველის იმედი არა აქვთ. მასში ჩვენმა ცეცხლმა ფართო ჭიშკარი გაჭრა. ხანმოკლე პაუზის განმავლობაში, როცა არტილერისტები იმისათვის ემზადებოდნენ, რომ უფრო შორს გადაეტანათ ცეცხლი, ამ ჭიშკარში ჩვენმა ტანკებმა და ქვეითმა ჯარებმა გაიარეს. ჰორიზონტზე აქა-იქ ცეცხლი ენთება. ახლა ქვემეხები მტრის თავდაცვის სიღრმეს ურტყამენ. მაგრამ გერმანელთა შორსმსროლელი არტილერიაც სროლას იწყებს. იგი იმიტომ ისვრის, რომ ცეცხლის ფარდით დააშოროს ქვეითი ჯარი ტანკებს, რომ დრო მისცეს თავის ჯარისკაცებს თავდაცვის მეორე ხაზზე გასამაგრებლად. გერმანელები გაშლილ ველზე ბრძოლას გაურბიან. მაგრამ ჩვენი ნაწილების დარტყმა ისეთი სწრაფია, რომ მტერი დასახლებულ პუნქტებშიც კი ვერ ახერხებს ფეხის მოკიდებას. პირველი სამი საათის და ორმოცი წუთის განმავლობაში ნ ნაწილი სამ დასახლებულ პუნქტს იკავებს, ხოლო სხვა ნაწილი გერმანელებს კიდევ ორ სოფელს ართმევს. ეს სოფლები მაღლობებზე მდებარეობენ, რომლებიც ამ ადგილებს დაჰყურებენ.

იერიშის დროს ვინ მოიცლის იმისათვის, რომ კარგად დაათვალიეროს, თუ რა გააკეთეს ჩვენმა არტილერისტებმა. მაგრამ ტანკზე მჯდომი მეავტომატე, მსროლელი, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება მანქანას, მესანგრე, რომელიც ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობილებებში მიდის, მაინც გზაშივე ამჩნევენ, რომ მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი ხაზის ზღუდეები გადახნულ მინდვრად არის ქცეული. თოვლი მიწასთან, დანგრეული ბლინდაჟების ბეტონთან არეულა, ფეხქვეშ გაღუნული ფოლადის არმატურის ნამტვრევები და წვრილად დამსხვრეული ძელქვების ნაწილებია.

მხოლოდ აქა-იქ იწყებენ გაუბედავ სროლას გერმანელთა გადარჩენილი ძელმიწური საცეცხლე წერტები, რომლებიც ახლა ზურგში აღმოჩნდნენ. ეს სასიკვდილოდ განწირულნი გვიშენენ, რომლებიც მტრის სარდლობამ მხოლოდ იმისათვის დასტოვა, რომ შეაფერხონ ჩვენი ქვეითი ჯარის წინსვლა. მაგრამ ამ საცეცხლე წერტებს დიდხანს აღარ დასცალდებათ. მათ გზადაგზა ანგრევენ.

გარიჟრაჟი ნელი თოვლით იწყება. ქარბუქი ადამიანს თვალში აყრის თოვლს, ტანკების საჭვრეტ სარკმლებს თოვლი ავსებს. მაგრამ არავინ არა ჩერდება. წინ, წინ!

ჩვენს ქვეითს ჯარს გზაში ეღობება მტრის წინააღმდეგობის ახალი მძლავრი კვანძი. იგი განუწყვეტლივ გვიშენს ფლანგიდან. ქარბუქში მსროლელი ნაწილი, რომელსაც ტანკები ეხმარებოდნენ, ფლანგებიდან და ზურგიდან უვლის ამ სოფელს. მაგრამ ამ კვანძის გასანადგურებლად საჭიროა არტილერიის დაუყოვნებლივ ჩარევა, შორსმსროლელებს კი მეკორექტირე სჭირდებათ. აგერ ის ყველაზე წინ მიხოხავს სანიღბავი ხალათით. მის ახლოს გერმანელთა ყუმბარები სკდება. გავიდა რამდენიმე წუთი; მან მეტრი მეტრზე გადალახა და იქ გაჩნდა, სადაც იგი უნდა ყოფილიყო. და მაშინ გაისმა გრიგალისებური ზალპები. ისინი გერმანელთა დასაყრდენ პუნქტს ურტყამდნენ. მებრძოლები მაღლობზე აიჭრნენ. ფერდობზე მათ ნახეს მწოლარე მეთვალთვალე. მეკორექტირე დაჭრილი იყო.

— წინ, წინ! არ შეჩერდეთ,—მან ხელით უჩვენა იერიშის მომტანთ მიმართულება.

ჩვენმა ჯარებმა მრავალი დასაყრდენი პუნქტიდან გარეკეს გერმანელები და ხელთ იგდეს ტყვეები და მდიდარი დავლა.

ევგ. რატნერი

ვურტყათ მტერს ფრონტზე — ცეცხლით, ზურგში — შრომით

გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს

თბილისის სპილენძის სატყეცი ქარხანა (დირექტორი კ. მაღლაკელიძე, პარტბიუროს მდივანი ე. არუთინოვი) მნიშვნელოვანი წარმატებით მუშაობს დიდი სამამულო ომის დღეებში. ქარხანა გეგმებს დროულად და გადაჭარბებით ასრულებს, ქვეყანას და ფრონტს მაღალხარისხოვან პროდუქციას აძლევს.

ქარხანამ ნოემბრის საწარმოო გეგმა 3 დღით ადრე შეასრულა.

გეგმების წარმატებით შესრულებისათვის თავდადებით მუშაობენ როგორც ბრიგადები, ისე ცალკეული სტახანოველები. მაგალითად, მტყეცელთა ბრიგადა (ბრიგადირი მ. ანთიძე) დღიურ ნორმას 180-185 პროცენტით ასრულებს. მდნობელთა ბრიგადამ (ბრიგადირი გ. მჭედლიშვილი) 28 ნოემბრისათვის თვიური გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. ეს ბრიგადა ყოველდღიურ ნორმას საშუალოდ 250 პროცენტით ასრულებს.

ნოემბრის საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებას დიდად შეუწყო ხელი ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებითა და სტალინგრადის რაიონში საბჭოთა წითელი არმიის წარმატებითი შეტევით გამოწვეულმა საწარმოო აღმავლობამ. მაგალითად, მ. ანთიძის და ბ. ახობაძის ბრიგადები ნაცვლად 104,4 პროცენტისა დღიურ გეგმას ახლა 150-155 პროცენტით ასრულებენ. ახალგაზრდული გატაცებით მუშაობს 38 წლის საწარმოო სტაჟის მქონე მდნობელი ბ. ახობაძე. იგი განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ცნობას სტალინგრადის რაიონში წითელი არმიის წინსვლის შესახებ. სტალინგრადის გმირ დამცველთა შორის არის მისი ვაჟიშვილი. შვილის საბრძოლო წარმატებას ბეჯითი მამა საწარმოო აღმავლობით უპასუხებს. ნაყოფიერი მუშაობის მაგალითებს იძლევიან სტახანოველები—მდნობელი დ. კიკნაძე, მდნობელი მ. დავითაშვილი, მტყეცელი ნ. შომახია და სხვ.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი დეკემბერში კიდევ უფრო აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას და მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვებით შეხვდება 1943 წელს.

გმირ სტალინგრადელთა საპასუხოდ

თბილისის ერთერთი ქარხნის სპეციალურმა საამქრომ (უფროსი—ა. გოგიშვილი) ნოემბრის გეგმა 102 პროცენტით შეასრულა. ამავე საამქროს ამწყობმა ბრიგადამ კარსუკოვის, ნოვოსელცოვის, საპოჟნიკოვისა და მოლჩანოვის შემადგენლობით ისევე, როგორც წინა თვეებში, ნოემბრის გეგმა ვადაზე ადრე და თვალსაჩინო გადამეტებით შეასრულა. სტახანოველი პ. ნოვოსელცოვი, რომელიც ყოველდღიურად 4-5 ნორმას იძლევა, ოქტომბერში მიღებულ იქნა პარტიის წევრობის კანდიდატად.

თავდადებით მუშაობენ საიარაღო საამქროს (უფროსი შ. ჯინჭარაძე) ომიანობის დროის სტახანოველები, რომლებმაც სპეციალური დავალება ვადაზე 3 დღით ადრე შეასრულეს და მიიღეს კარგი შეფასება.

ნოემბერში საწარმოო დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი სამამულო ომის მონაწილემ სტახანოველმა ხოჯაიანმა (გეგმის 545 პროცენტი), პოლისიანმა (გეგმის 465 პროცენტი), გიგაურმა, პატარქალიშვილმა, გერაშენკომ, კახაკომ და სხვ.

ქარხნის მთელი კოლექტივი ენერგიულად იბრძვის, რათა გმირ სტალინგრადელთა საპასუხოდ რაც შეიძლება მეტი და მეტი პროდუქცია დაამზადოს ფრონტისათვის ყოველმხრივი დახმარების გასაძლიერებლად.

ბათუმის საწარმოებში

ბათუმი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ბათუმის მთელმა რიგმა საწარმოებმა ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნოემბრის გეგმები.

ბათუმის ფანერის ქარხანამ თვიური გეგმა შეასრულა 26 ნოემბრისათვის. ქარხანაში მოწინავედ ითვლება ავეჯის საამქრო (უფროსი გ. ცქიტიშვილი). საამქროს სტახანოველებმა ანთაძემ და ქარსელიძემ, რომლებიც ოქტომბერში გეგმას 300 პროცენტით ასრულებდნენ, მუშაობის ახალი მეთოდების დაუფლებითა და მთელი რიგი ახალი გაუმჯობესების დანერგვით, ნოემბერში მიაღწიეს გეგმის 400-450 პროცენტით შესრულებას. ასეთივე მაჩვენებლებს იძლევიან სტახანოველები ამხ. დარახველიძე და ჯიმშელეიშვილი. საამქროში გამრავლდა ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები. მუშები თოდორიძე, ოხიკიანი, კრიკუნოვი და სხვები იძლევიან 2,5-3 ნორმას.

ციტრუსების კომბინატმა თვიური გეგმა შეასრულა 28 ნოემბრისათვის. ოქტომბერში თავისი მაჩვენებლების მიხედვით (გეგმის 256 პროცენტი) საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა და მიიღო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

ბათუმის სატვირთო სადგურმა, რომელმაც ოქტომბერში მიიღო ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზების სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა, შეასრულა ნოემბრის გეგმა. მატარებლების შემდგენმა ამხ. სიხარულიძემ გეგმა შეასრულა 135 პროცენტით, ღლონტმა — 165 პროცენტით. მუშაობის საუკეთესო შეფასება მიიღეს სადგურის მორიგე ამხ. კობალავამ, დისპეტჩერებმა ამხ. ჯაშმა და ჩახუნაშვილმა, ვაგონების გადამბმელებმა ა. კახიძემ და ი. კოსტიუკმა.

ნოემბრის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს აგრეთვე მანქანათმშენებლობის ქარხანამ, სავაგონო დეპომ და ნავთსახდელმა ქარხანამ.

ახალი შრომითი აღმავლობა საკოლმეურნეო სოფელში

თელავი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელები წითელი არმიის წარმატებით შეტევას სტალინგრადის რაიონში უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. საბჭოთა პატრიოტებში ფრონტზე ბრწყინვალე გამარჯვების ცნობამ დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია. სოფ. შალაურის კოლმეურნეობა „შრომა“, სოფ. წინანდლის სტახანოვის სახელობის, კურდღელაურის ენგელსის სახელობის, ამავე სოფლის 26 კომისრის სახელობის, ნასამხრალის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით სთესავენ თითოეული 20-დან 50 ჰექტარამდე.

შალაურის კოლმეურნეობა „შრომაში“ ბესო და სანდრო გრძელაშვილები, ნიკო ძამუკაშვილი, სანდრო ჭყონიძე და სხვები ნორმებს დიდი გადამეტებით ასრულებენ. კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში გამოვლინებულია 40 ახალი სტახანოველი. განსაკუთრებული წარმატება გვიჩვენეს ნიკო, შაქრო და კატო კელაშვილებმა, ვანო ბებოშვილმა.

თელავის მტს-ის მამალაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ გეგმის გადამეტებით მოხნა 200 ჰექტარი და დაზოგა 1.000 კილოგრამი საწვავი. ასეთივე წარმატება გვიჩვენა ლუცუბიძის ბრიგადამ. ტრაქტორისტები ბაციაშვილი, ბასილაშვილი, ჯავახიშვილი, მამუკიშვილი, შენგელია, დავითაშვილი, აბრამიშვილი ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ტრ. თოდრაძე
გ. ცხადაძე

ბრძოლები ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის პირველი არმია განაგრძობს წინსვლას გერმანელების მიერ ოსტატურად შექმნილ ნაღმიან ველებზე. პარაშუტისტებმა ხელთ იგდეს ახალი ძირღასაშვები მოედანი ტუნისის რაიონში.

ფრანგების ჯარს, რომლის მობილიზაციაც სწრაფად ხდება, ამერიკული საჭურველი ეძლევა.

ჰაბესის ჩრდილოეთით აღმოჩენილია თავმოყრილი იტალიელთა ჯარები, მათ დავალებული აქვთ დაიცვან ვიწრო სანაპირო ზოლი, რომელსაც ამზადებენ იმ შემთხვევისათვის, თუ ღერძის სახელმწიფოთა ჯარები ტრიპოლისაკენ დაიხევენ.

ავიაცია ღამით თავს დაესხა ბიზერტის დოკებს.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ტუნისის ჩრდილოეთით ინგლისის პირველმა არმიამ გარეკა მოწინააღმდეგე სანაპიროს გასწვრივ მიმავალი გზისაკენ. გენერალი ანდერსონი, რომელიც მარჯვედ შეეგუა ადგილმდებარეობას და გამოიყენა მოიერიშე რაზმები, ქსაქსავს მოწინააღმდეგის ძალებს. ამჟამად ბრძოლები სწარმოებს რამდენიმე მილზე იმ გზიდან, რომელიც მოწინააღმდეგისათვის უკანასკნელი დამაკავშირებელი გზაა ბიზერტასა და ტუნისს შორის.

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ლიბიაში ინგლისის პატრულები აქტიურ მოქმედებას ეწეოდნენ ელ-აგეილის ახლოს. ავიაციამ დაბომბა მტრის სამხედრო ობიექტები კუნძულ სიცილიაზე, სადაც ბევრგან ხანძარი და აფეთქება მოხდა.

ტუნისში მყოფი გერმანელი ჯარები მოწყვეტილი არიან ტრიპოლიტანიას

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ მოკავშირეთა ჯარები სფაქსსა და ჰაბესს შუა ტუნისის სანაპიროზე გავიდნენ. ამერიკისა და საფრანგეთის ნაწილებმა ტუნისში გადასჭრეს კომუნიკაციები, რომლებიც ღერძის სახელმწიფოთა ჯარებს ტრიპოლიტანიასთან აკავშირებდნენ.

მოკავშირეთა აფრიკის სარდლობის წარმომადგენელთა თათბირი

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის ავიაციის მარშალი ტედერი და ამერიკის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდალი გენერალ-მაიორი ბრერეტონი ეგვიპტიდან გაემგზავრნენ ჩრდილოეთ-დასავლეთ აფრიკაში, სადაც შესდგა თათბირი გენერალ ეიზენჰაუერთან. თათბირს დაესწრნენ აგრეთვე მოკავშირეთა სარდლობის სხვა წარმომადგენლები, მათ შორის ადმირალი კენინგჰემი, გენერალი კლარკი, გენერალ-მაიორი დულიტლი. გენერალმა ბრერეტონმა, რომელიც დაბრუნდა ეგვიპტეში, განაცხადა, თათბირმა მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღოო.

თურქი ჟურნალისტი სასაცილოდ იგდებს გერმანიის პროპაგანდის ფანდებს

ანკარა, 1 დეკემბერი (საქდესი). ცნობილი თურქი ჟურნალისტი ჯაჰიდ იალჩინი გაზეთ „ენი საბახში“ სასაცილოდ იგდებს გერმანიის პროპაგანდის ფანდებს, რომელიც ცდილობს შეამციროს ის შთაბეჭდილება, რაც გერმანელებზე მოახდინა ჰიტლერის ჯარების დამარცხებამ სტალინგრადის რაიონში.

„გერმანიის რადიოკომენტატორი აცხადებს,—სწერს ჯაჰიდ იალჩინი,—რომ გერმანელთა მიერ სტალინგრადზე იერიშის მიტანის ერთადერთი მიზანი ჰქონდა, შეეწყვიტა სატრანსპორტო კავშირი ვოლგაზე, და, რამდენადაც მდინარე უკვე გაიყინა, ეს საჭიროებაც აღარ არისო. თუ გერმანიის რადიოკომენტატორი შემდეგშიც ასევე ლოგიკურად ილაპარაკებს, მაშინ, ვინ იცის, იქნება მან განაცხადოს: გერმანელებმა ათიათასობით თავიანთი ჯარისკაცი ჩაუგდეს რუსებს ტყვედ მარტო იმისათვის, რომ თავიანთი სასურსათო სიძნელეები შეემსუბუქებინათ და რუსებისათვის სასურსათო სიძნელეები გამოეწვიათო. სიმართლე კი ის არის, რომ გერმანელები რუსეთის არმიის სიძლიერის ზეგავლენით უკან იხევენ და ეს მათ ვერც დაუმალავთ და ვერც გონივრულად აუხსნიათ. გენერალი ერკილეტიც კი დარწმუნდა გერმანიის არმიის წარუმატებლობაში და იძულებული იყო განეცხადებინა, გერმანიის არმია ასეთ ძნელ მდგომარეობაში იმიტომ ჩავარდა, რომ ყურს არ უგდებდა ჩემს რჩევა-დარიგებასო. ამიტომ იგი დაასკვნის, რომ გერმანელებისათვის ძნელი დღეები იწყება“.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, საომარი მოქმედება ბუნა-გონის რაიონში (ახალი გვინეა) სულ უფრო და უფრო სასტიკი ხდება. შეუპოვრად მიდიოდნენ რა წინ, მოკავშირეთა ჯარები გამოვიდნენ სანაპიროზე გონის აღმოსავლეთით, სადაც გადასჭრეს იაპონელთა ხაზები.

მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს აგრეთვე იაპონელთა თავდაცვითს ხაზებს გვადალკანარის კუნძულზე.

ამერიკის ავიაციის მოქმედება ჩინეთში

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ იაპონელების მიერ ოკუპირებულ ქალაქ კანტონს. ჩამოყრილმა ბომბებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს იაპონელთა თვითმფრინავებს, რომელნიც მიწაზე იდგნენ. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის 23 თვითმფრინავი. ამერიკის ავიაცია უდანაკარგოდ დაბრუნდა.

ჰიტლერი დასჯას უმზადებს ტულონის პატრიოტებს

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). აფის სააგენტო გადმოგვცემს, რომ პარიზსა, ვიშსა და ბერლინში უკვე მზადდება იმ პირთა გასამართლება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ტულონში საფრანგეთის ფლოტის ჩაძირვის შესახებ ბრძანების გაცემისათვის. ჰიტლერმა აშკარად აგრძნობინა ვიშის, რომ ის არ დაუშვებს განმეორებულ იქნას „რიომის პროცესი“, რომელიც გაჭიანურებით ხასიათდებოდა. უკვე დანიშნულია საგამომძიებლო კომისია. მის მუშაობას საიდუმლოდ ინახავენ. კომისიამ სამი დღის შემდეგ უნდა წარუდგინოს თავისი დასკვნები ჰიტლერს. სპეციალურ ტრიბუნალს სხდომები დახურულ კარებში ექნება. დაპატიმრებულია ათობით ოფიცერი, მატროსი და სამოქალაქო პირი.

ჰიტლერელები თავს ესხმიან შვეიცარიის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას

სტოკჰოლმი, 1 დეკემბერი (საქდესი). ჰიტლერული პრესა კვლავ ესხმის თავს შვეიცარიის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ აშკარად აღიარებს, რომ შვეიცარია „ევროპულ სივრცეს“ ეკუთვნის (როგორც ცნობილია, ასე უწოდებენ ჰიტლერელები იმ ტერიტორიებს, რომლებზეც მათ სურთ თავიანთი ბატონობა გაავრცელონ). ამ „საბუთით“ გაზეთი აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ შვეიცარია ბედავს გამოსთქვას „გერმანიის თვალსაზრისის საწინააღმდეგო შეხედულებანი და მუქარით იძლევა გაფრთხილებას, რომ გერმანიას „სრულიად არა აქვს განზრახვა ამგვარი მდგომარეობა მოითმინოს“.

ჰიტლერელები შლიან საფრანგეთის არმიას

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანელები გაძლიერებული ტემპებით შლიან საფრანგეთის არმიასა და ფლოტს. ლონდონის ფრანგთა წრეებში იუწყებიან, რომ მარსელსა და ტულონში დიდი ანტიგერმანული დემონსტრაციები გაიმართა.

შვედური გაზეთის საკადრისი პასუხი „ახალი წესრიგის“ ჰიტლერელ მქადაგებელთადმი

სტოკჰოლმი, 1 დეკემბერი (საქდესი). გაზეთმა „აფტონტიდნინგენმა“ მოათავსა სტატია, სადაც ამჟღავნებს ჰიტლერულ გაზეთ „ჰამბურგერ ფრემდენბლატის“ პროვოკაციულ გამოსვლას, რომელიც ცდილობს ყალბი სტატიებით შექმნას ისეთი წარმოდგენა, ვითომც შვეციას რაღაც საფრთხე მოელის რუსეთის მხრივ.

„აფტონტიდნინგენი“ სწერს, რომ შვეციას უკვე 130 წელია არავითარი შიში არა აქვს რუსეთის გეგმების მხრივ. „სამაგიეროდ, — სწერს გაზეთი, — ჩვენ საფუძველი გვაქვს მოვიგონოთ ისტორიკოსის სიტყვები იმის შესახებ, რომ 500 წლის წინათ შვეცია კინაღამ გერმანიის კოლონიად გადაიქცა. მართალია, შვეციის გვირგვინი უკვე აღარ არის გერმანელი მთავრების ხელში, და გერმანელი ბარონები აღარ პარპაშობენ სტოკჰოლმში, მაგრამ ჩვენს გარშემო ყველგან გერმანელთა ჯარები დგანან. რას ნიშნავს გერმანიის ხელში ჩავარდნა? ამ კითხვის პასუხს იძლევა ის ბედი, რომელიც ნორვეგიას ეწია და რომელიც დანიას მოელის“.

ანტიჰიტლერული განწყობილების ზრდა ბულგარეთში

სოფია, 1 დეკემბერი (საქდესი). ინტელიგენციაში მკვეთრად იზრდება ანტიჰიტლერული განწყობილება, რაც სულ უფრო და უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს ბულგარეთის მმართველთა ბანაკში. გაზეთი „ზორა“ აქვეყნებს გენერალ ლუკოვის სტატიას, რომლის სათაურია „ინტელიგენციის მოვალეობა“. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, „ინტელიგენციის წამყვან როლს“ და სწერს: „ჩვენ გვაფიქრებს ის გარემოება, რომ მტრის წარმატებებთან დაკავშირებით, რომელმაც ჯარები გადასხა ჩრდილოეთ აფრიკაში, ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს მერყეობა და არასაკმაო სიმტკიცე ემჩნევა. ზოგიერთისათვის ეს ფაქტი უკვე ნიშნავს ღერძის ქვეყნების დამარცხებას ომში. ამავე დროს კი ხალხის მასები მხოლოდ თავიანთ ინტელიგენციას შეჰყურებენ, რომელშიც თავიანთი რწმენისა და მომავლის იმედების განმტკიცებას ეძებენ“. ლუკოვი ჩააგონებს ინტელიგენციას უკუაგდოს „ყოველგვარი ეჭვი ღერძის ქვეყნების გამარჯვებაში“.

გერმანელი ოფიცრების დახვრეტა

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ უტყუარი ცნობების თანახმად, აკერხუსის ციხეში, რომელიც ოსლოს ახლოს მდებარეობს, დახვრიტეს 71 გერმანელი ოფიცერი იმისათვის, რომ მათ უარი სთქვეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წასულიყვნენ.

რუმინეთის არმიას სისხლის სამართლის დამნაშავეებით ავსებენ

სტამბოლი, 1 დეკემბერი (საქდესი). რუმინეთის არმიას ადამიანთა მხრივ აუნაზღაურებელი ზარალი მოსდის. დაჭრილთა უმრავლესობას ისე აბრუნებენ ფრონტზე, რომ ისინი ჭრილობისაგან მორჩენილი არ არიან. არმიაში ხშირად რიცხავენ საპყრებს და არა მარტო სამხედრო სამსახურისათვის, არამედ შრომისთვისაც გამოუსადეგარ პირებს. სამხედრო მრეწველობის ბევრი კვალიფიციური მუშა, ომის დასაწყისში სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული, ახლა გაწვეულია არმიაში. ჰიტლერული გაზეთი „დონაუ ცაიტუნგი“ აღიარებს, რომ ფრონტზე უკვე წასულია რუმინეთის მამაკაცთა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. ამჟამად არმიაში ჰგზავნიან სისხლის სამართლის დამნაშავეებსა და იმ პირებს, რომლებიც სასჯელს საპატიმროში იხდიან. საჩქაროდ იწვევენ აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფ პირებს. გამონაკლისს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა თანამშრომლებიც კი არ შეადგენენ.

პესიმიზმისა და უკმაყოფილების ზრდა რუმინეთში

სტამბოლი, 28 ნოემბერი (საქდესი). რუმინული გაზეთები სავსეა რუმინელი ხალხისადმი მუდარითა და მოწოდებით „სიდინჯეს ნუ დაჰკარგავთო“.

გაზეთი „ვიაცა“ აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს რუმინეთში „ხალხი ძალიან ბევრსა და ცხარედ მსჯელობს ომის პრობლემებზე“ და რომ „ამ დისკუსიებში გამოსთქვამენ ბევრს მეტად გაბედულ აზრს, რაც დამახასიათებელია გახურებული ტვინისათვის“. გაზეთის აღიარებით, „მთელს რუმინეთში ვრცელდება სხვადასხვა ხმა, ხალხი წინასწარმეტყველობს, ცხარე კამათში მწვავდება ვნება და დუნდება ნერვები“. რუმინულ ფაშისტურ გაზეთს მეტად აწუხებს ეს გარემოება და იგი რუმინელებს მდუმარებისაკენ მოუწოდებს. „რუმინელებს,—სწერს გაზეთი,—არ უნდა აინტერესებდეთ რთული საერთაშორისო პრობლემები. კაცი, რომელიც დისკუსიებს იწყებს და ფიქრებს ეძლევა, დიდ დანაშაულს სჩადის. დისკუსიებს მხოლოდ ვნება მოაქვთ, რადგან იწვევენ ურწმუნოებას და დამარცხების სულისკვეთებას, რაც სწორედ ამ მომენტშია საშიში“. დასასრულ გაზეთი მოუწოდებს რუმინელებს „ითმინეთ და ჩუმად იყავითო“, ვინაიდან „კიდევ უფრო მძიმე დღეები და ახალი ტანჯვანი მოგველისო“.

გაზეთ „ვიაცას“ ეხმაურებიან სხვა გაზეთებიც. განსაკუთრებით გულახდილად წარმოაყენა რუმინელი მოსახლეობის ნამდვილი განწყობილებაზე გაზეთმა „პორუნკა ვრემიიმ“. იგი იუწყება, რომ „როცა ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისელებისა და ამერიკელების შეჭრის ამბავი გაიგეს, ზოგიერთ რუმინელს უხაროდა, ქეიფს აწყობდა და ღვინოს სვამდა“. გაზეთი მუქარით იძლევა გაფრთხილებას, რომ „ასეთ ყოფაქცევას განიხილავენ როგორც პროვოკაციულს“, და რომ ხელისუფალნი „ამ ადამიანებს არ აცოცხლებენ იმ ჟამამდე, როცა მათი ოცნებანი აღსრულდება“.

ზურგში დაუღალავი შრომით ვეხმარებით ფრონტს

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები თავდადებული შრომით და ყველა სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის საბრძოლო დავალებებს. ეს განსაკუთრებით ძლიერ სჩანს მიმდინარე დიდი სამამულო ომის ამ მკაცრ ვითარებაში, როდესაც რაიონის თითოეული პატიოსანი მშრომელი არ იშურებს თავის ძალ-ღონეს და მეომრის თავდადებით შრომობს, რათა დაეხმაროს ფრონტს ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში.

რაიონმა წელს რესპუბლიკაში პირველმა შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა ვადამდე, გადაჭარბებით (128 პროცენტით). განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სოფ. გედსამანიის კოლმეურნეობამ, რომელმაც მიცემულ დავალებას ოთხჯერ გადააჭარბა. ასევე კარგად იმუშავა სოფ. გოლათუბნის კოლმეურნეობამ, რომელმაც გეგმა 233 პროცენტით შეასრულა. ასეთი კოლმეურნეობები რაიონში ბევრია.

თესვის უნარიანი ორგანიზაციით კარგად იქნა აღებული მოსავალიც. ნაკლები მუშახელით მიღწეულ იქნა საუკეთესო მაჩვენებლები. ომში წასული მამაკაცები ქალებმა, მოხუცებმა და მოზარდებმა შესცვალეს. ისინი პატრიოტული გულმოდგინებით და თავდადებით უვლიდნენ ყანებსა და ვენახებს, თავს არ იზოგავდნენ, რათა უხვი სამხედრო მოსავალი მოეწიათ. კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ხოლო მთლიანად რაიონს საჩხერის რაიონი ჰყავს გამოწვეული სოცშეჯიბრებაში. ამ ღონისძიებას შედეგიც კარგი მოჰყვა: ყველა კულტურის მიხედვით მოსავლის აღება დამთავრდა დროულად, დაწესებულ ვადებში.

ამ საქმეშიაც თავი გამოიჩინეს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა: სოფ. სერბაისის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. არევაძე) 11 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 17 ცენტნერი სიმინდი აიღო; ამ კოლმეურნეობაში გამოირჩევიან ამხ. ე. ავალიანისა და მ. არევაძის ბრიგადები, რომელთაგან პირველმა აიღო 18 ცენტნერი, ხოლო მეორემ — 19. კარგ შედეგს მიაღწია აგრეთვე სოფ. დეისის კოლმეურნეობამ „შრომის სხივმა“ (თავმჯდომარე მ. კიკნაძე), რომელმაც 10-ის ნაცვლად ჰექტარზე 16 ცენტნერი სიმინდი მოიწია. აქ კოლმეურნეები ფრონტული თავდადებით მუშაობენ. კოლმეურნე ნინო ფოცხვერაშვილმა 315 შრომადღე გამოიმუშავა, მოხუცმა კოლმეურნემ გიორგი მაღლაკელიძემ — 350 და ა. შ. ამ კოლმეურნეობებმა ყურძნის, ლობიოს და სოიის ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღეს. უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე გოლათუბნის, ღარიხევის, ლახუნდარის და ბევრმა სხვა კოლმეურნეობებმა.

თავდაცვის ფონდში დათესილი იყო 116 ჰექტარი მარცვლეული კულტურები და აქაც მოსალოდნელზე უკეთესი მოსავალი მოვიდა. იგი მთლიანად აღებული, დაბინავებული და დაცულია.

ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვან კულტურას ახლა შამპანური მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენს. რაიონის კოლმეურნეობებმა მდიდარი გამოცდილება დააგროვეს ამ დარგში და სამაგალითოდ უვლიან შამპანური ჯიშის ვენახებს და საუკეთესო ხარისხის შამპანური ღვინის მასალას ამზადებენ. რაიონს დავალებული ჰქონდა დაემზადებინა წელს 20 ათასი ცენტნერი ყურძენი, რაც [illegible] შესრულებულია. სარგვეშისა და [illegible] ქარხნებმა ყველაზე [illegible] ლება, ბევრმა კოლმეურნეობამ კი გეგმასაც გადააჭარბა.

კოლმეურნეობანი და კოლმეურნეები უდიდესი სერიოზულობით ეკიდებიან სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას. აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. ძირითადად შესრულებულია ხორცის, ყველისა და თივის დამზადება-ჩაბარების წლიური გეგმები. ჩამორჩენა გვაქვს ტყავისა და მატყლის დამზადებაში, მაგრამ ყველა ზომას ვხმარობთ, რათა ეს ნაკლიც გამოვასწოროთ და ვარწმუნებთ პარტიას და მთავრობას, რომ ეს აუცილებლად შესრულებული იქნება.

დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. ამ უბანზეც შესამჩნევი მიღწევებია მოპოვებული. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენების 1942 წლის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით. გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის გეგმები: გედსამანიის, ფონის, ნუნისის, ლეღვნისა და სხვ. კოლმეურნეობებმა. პირუტყვი უზრუნველყოფილია საზამთრო ბინებით და საკვებით. უსილოსებისა და წვნიანი საკვების დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. საკვების დამზადება გრძელდება. თივის აღების გეგმა შესრულებულია 160 პროცენტით.

წარმატებით სრულდება ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმაც. ამ საქმეში რაიონი წელს რესპუბლიკაში პირველ ადგილზე გამოვიდა და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

რაიონის მშრომელები კიდევ უფრო აღაფრთოვანა დიდი სტალინის მოხსენებამ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე. საყვარელი ბელადის და მხედართმთავრის ბრძნული სიტყვები გულის სიღრმეში ჩასწვდა ყველა მუშას, კოლმეურნესა და ინტელიგენტს, კიდევ უფრო გაუძლიერა მათ ვერაგ მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენა და დარაზმა მეტი შრომითი მამაცობისათვის. ბელადის სიტყვას რაიონის მშრომელებმა დიდი შრომითი აღმავლობით და შრომის ფრონტზე ახალ საწარმოო ვალდებულებათა აღებით უპასუხეს. ეს ვალდებულებები პირნათლად სრულდება.

რაიონის მშრომელები მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში სწავლობენ ბელადის მოხსენებას და 7 ნოემბრის ბრძანებას.

ბელადის მოხსენებით, წითელი არმიის წარმატებითი შეტევებით გამხნევებულნი, ჩვენი რაიონის მშრომელნი კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძვიან, რათა ყველაფერი გააკეთონ საყვარელი სამშობლოს სამხედრო ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, მისცენ წითელ არმიას მეტი და მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მეტი ნედლეული მრეწველობას და ამით დააჩქარონ ვერაგ მტერზე ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვება.

ნ. საყვარელიძე

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი.

ინდივიდუალური ამანათები წითელი მებრძოლებისათვის

მშრომელები საქართველოს ყველა კუთხიდან უგზავნიან წითელ ფრონტელებს ყველაფერს საუკეთესოს, რასაც ამზადებენ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამანათებით უგზავნიან აგრეთვე საწერ ქაღალდს, ფანქრებს, თბილ ჯემპრებს, ფლანელის პერანგებს, გოზინაყს, კამფეტებს, კბილის ფხვნილს, ოდეკოლონს და სხვ.

ამ ახლო ხანებში მარტო თბილისის მთავარი პოჩტამტის საფოსტო განყოფილებაში შემოვიდა 1.000-ზე მეტი ინდივიდუალური ამანათი.

ამანათების სწრაფად გაგზავნის მიზნით ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზამ გამოჰყო ვაგონები და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებანი. (საქდესი).

ლექციები და მოხსენებები

2 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფ. **ათაბეკოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი“.**

ბილეთების მიღება შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

3 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში (სასწავლო შესახვევი № 2/4) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია თემაზე: **„საკითხი მეორე ფრონტისა ევროპაში“.**

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის აგიტპუნქტში და ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „გიორგი სააკაძე“. **ოქტომბერი** — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“. **დამკვრელი** — „ხიდი“. **კომკავშირელი** — „მეზღვაურის ქალიშვილი“. **სპარტაკი** — კინოკონცერტი“. **ლუქსემბურგის სახ.** — „მაშენკა“. **მეცნიერება და ცოდნა** — „წითელი ეშმაკუნები“.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი წინადადებას აძლევს ნიკოლოზ ლუკას-ძე ბარბაქაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქციო განყოფილებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3094173, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მიერ ეთერი სამსონის-ასულ გვარამიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებში

2 დეკემბერს: სახოპერა — „ქეთო და კოტე“. რუსთაველის სახელობის — „ოტელო“. მარჯანიშვილის სახელობის — „ინჟინერი სერგეევი“. გრიბოედოვის სახელობის — „ფელდმარშალი კუტუზოვი“. სომხური თეატრი — „კინტო“. ახუნდოვის სახელობის — „ოქტაი ელ ოღლუ“. მუსიკალური კომედიის — „როზ-მარი“. სანკულტურის — „ვერბიცკის ცდები“. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „ბროლის სასახლე“. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „სახლი გორაკზე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დღეს და ყოველდღე
რუსთაველის სახელობის კინოთეატრში
განახლებული დადგმა თბილისის კინოსტუდიის მხატვრული ისტორიული ფილმისა
გიორგი სააკაძე
სტალინური პრემიის ლაურეატ ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის სცენარის მიხედვით.
დადგმა სტალინური პრემიის ლაურეატ მიხეილ ჭიაურელისა.

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ა. წ. 26 დეკემბერს, ინსტიტუტის შენობაში (მარის ქ. № 33) ინსტიტუტის მეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

1. დღის 2 საათზე 277 აუდიტორიაში, მეცნ. მუშაკი **ვ. ი. კალნიცკი** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„Водомер-гидрограф механического орошения“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი, დოქტორი ნ. ა. დიმო, პროფესორი, დოქტორი ა. ი. დიდებულიძე და პროფესორი ი. ხ. ვაწაძე.

2. დღის 3 საათზე 284 აუდიტორიაში ზოოვეტინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის უფროსი მასწავლებელი **ნ. პ. ცაგარელი** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„მასალები ცხენისა და ვირის ჰიბრიდიზაციის შესახებ“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დ. გ. ავლაძე და დოცენტი ე. ვ. კანდელაკი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში,

დირექცია.

განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ კვირას, 6/XII, 4 ს. ქ. წულუკიძეში ივანდიუის სასაფლაოზე დანიშნულია დოც. ვალერიან ქათამაძის მამის

რომანოზ გიორგის-ძე ქათამაძის

სამოქ. პანაშვიდი. 1554

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექცია, პროფესორ-მასწავლებლები და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ღია უჯმაჯურიძის ცოლისძმის

მიხეილ იოსების-ძე ხაზარაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XII, 4 ს. კოლექტივიზაციის ქ. № 73. 1563

ლენინის სახელობის თბილისის საინჟინრო ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 6/XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ნადია კახიანის შვილის

კოტე (კოტიკო) გურიევის

სამოქ. პანაშვიდი. 1560

სალუდე-საალაომშენებლო ტრესტის დირექცია, პარტორგანიზაცია და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან თანამშრომლის

ვლადიმერ დანიელის-ძე კაკელიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XII, 5 ს. პლეხანოვის პროსპ. № 46. 1564

ორჯონიკიძის რაიონის I საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის ანა შარაშიძის ძმის

თინა შარაშიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XII, 5½ ს. სასამართლოს ქ. № 43. 1565

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11078